ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№120615/2
№ FRI/BCI-GA-02386/15

ქ. თბილისი, 12 ივნისი 2015 წელი

ერთი მხრივ, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი", შემდგომში მოხსენიებული როგორც „მიმწოდებელი", (იურიდიული (საკორესპონდენციო) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, პუშკინის ქ., №3; საიდენთიფიკაციო კოდი: 404476189) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის (პირადი ნომერი: 01017017793) მიერ და

მეორე მხრივ, ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი, შემდგომში მოხსენიებული როგორც „შემსყიდველი", (იურიდიული (საკორესპონდენციო) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მაჩაბლის ქ. #11; საიდენთიფიკაციო კოდი: 404404211) წარმოდგენილი თავმჯდომარის ალექსი ახვლედიანის (პირადი ნომერი: 01024022863) მიერ,

ერთობლივად მოხსენიებული როგორც „მხარეები", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას №FRI/BCI-GA-02386/15/№120615/2 (შემდგომში მოხსენიებულს როგორც „ხელშეკრულება") რომლის ფარგლებშიც თანხმდებიან შემდეგზე:

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით, „ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N2534 განკარგულების საფუძველზე, ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი:**

1.1. „მიმწოდებელი" – სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";

1.2. „შემსყიდველი" – ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი

1.3. „დაზღვეული" ("მოსარგებლე") - სსიპ „შემოსავლების სამსახური"

1.4. „სადაზღვევო შემთხვევა" - შემსყიდველის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა საბაჟო რეჟიმის განხორციელების დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წინაშე წარმოქმნილი ფინანსური რისკი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი და შემსყიდველი შეთანხმნენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ითანამშრომლონ ფინანსური რისკების დაზღვევის სახეობაში. კერძოდ, საწყობის ფუნქციონირების დროს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს, კონკრეტული საბაჟო რეჟიმის დარღვევისას სახელმწიფოს წინაშე შემსყიდველისთვის კანონით დადგენილი წესით დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებების შესაბამისი თანხების ანაზღაურებას მოსარგებლისათვის სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

(მიმწოდებლის ხელმოწერა)

(შემსყიდველის ხელმოწერა)

2.2. კონკრეტული ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის მიხედვით სადაზღვევო თანხას წარმოადგენს თანხა, რომელიც სხვადასხვა საბაჟო რეჟიმის დროს ტვირთის იმპორტის (განბაჟების) ღირებულების ექვივალენტურია.

2.3. ფინანსური რიკსის დაზღვევის პირობა შეესაბამება საქართველოში მოქმედი საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ, კონკრეტული საბაჟო რეჟიმის მოთხოვნებს.

3. **ხელშეკრულების ძირითადი პირობები**

3.1. აღნიშნული დაზღვევის მოქმედება იწყება ტვირთის საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ ოფიციალური ფორმით (ბეჭდით, ხელმოწერით, შტამპით, ოფიციალური დოკუმენტის გაცემით) დადასტურებული, შესაბამისი საბაჟო რეჟიმში შემოსვლის მომენტიდან და მთავრდება აღნიშნული რეჟიმის დასრულებისას, რაც გამოიხატება ტვირთის მიწოდებით დანიშნულების (გამშვებ) საბაჟო პუნქტის ტერიტორიაზე რა ფაქტიც დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო ორგანოების მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით.

3.2. დაზღვევა ძალაში შედის საპრემიო შესატანის სრული ოდენობით გადახდისას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ცალკეულ სადაზღვევო პოლისში; ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ყველა სადაზღვევო პოლისი, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულება და ყველა, მის საფუძველზე გაცემული, სადაზღვევო პოლისი განიხილება, როგორც ერთიანი დოკუმენტი.

3.3. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დაზღვევის მოქმედების არეალი ვრცელდება, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საბაჟო რეჟიმის ფარგლებში, შემსყიდველის მიერ ანკეტა-განაცხადით წარმოდგენილ მარშრუტზე.

3.4. სადაზღვევო თანხა გაიანგარიშება საქართველოში შემოტანილი საქონელის იმპორტის რეჟიმის გადასახადების ექვივალენტური თანხის ოდენობით;

3.5. თუ შემსყიდველი ან შემსყიდველის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი, წარმოადგენს ყალბ სარჩელს ან გამოიყენებს სხვა არაკანონიერ მეთოდებს სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით ან სადაზღვევო რისკის ხდომილება გამოწვეული იქნება წინასწარ განზრახვით ან შემსყიდველის ან მის რომელიმე წარმომადგენლის თანხმობით, მაშინ სადაზღვევო ანაზღაურება მოცემული პოლისის მიხედვით არ გაიცემა.

3.6. აღნიშნული დაზღვევის პირობების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მოხდება მხოლოდ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული მაქსიმალური პასუხისმგებლობის (სადაზღვევო თანხის) ფარგლებში და მისი მიღების უფლება აქვს მხოლოდ მოსარგებლეს. არც ერთ სხვა პირს არა აქვს ამ პირობების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით სარგებლობის უფლება. ამასთან სადაზღვევო პოლისით დაიფარება ზარალი, რომელსაც დაზღვეული აღმოაჩენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;

3.7. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს ისეთ ზარალზე, რომლის აღმოჩენაც არ მოხდება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;

3.8. შემსყიდველი არ უნდა დათანხმდეს რაიმე სახის ცვლილებას (განსაკუთრებით განაცხადით წარმოდგენილ პირობებში) საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის პერიოდში მიმწოდებლის წინასწარი წერილობითი დასტურის გარეშე, რადგან ეს შეიძლება გახდეს მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი;

3.9. აღნიშნული პირობების საფუძველზე შეთანხმებული და გარანტირებულია, რომ: ტრანზიტთან დაკავშირებული ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ და სრულად არის ძალაში, ყველა ზომაა მიღებული არსებული კომერციული პრაქტიკის გათვალისწინებით მათ განსახორციელებლად და ყველა პირობა შესრულებულია.

(მიმწოდებლის ხელმოწერა)

(შემსყიდველის ხელმოწერა)

4. მიმწოდებლის ვალდებულებები

4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისა და მოსარგებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და სრულად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, სრულყოფილად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა შემსყიდველის საქმიანობის შესახებ;

4.4. განხორციელებული დაზღვევის დასტურად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

5. შემსყიდველის ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია, სრულყოფილად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა სადაზღვევო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და/ან მისი დადგომის რისკის შესამცირებლად;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია, თავის თავზე აიღოს ნებისმიერი სხვა სახის თანხის, საჯარიმო სანქციის, გადასახდელის და ა.შ. გადახდის ვალდებულება, გარდა იმ თანხისა, რომელიც განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით და გამოითვლება, როგორც აღნიშნული საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმის პირობებში გადასახადის ეკვივალენტური თანხა;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია, გასცეს სათანადო პასუხი მიმწოდებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ დასმულ ყველა შესაბამის შეკითხვას და შეადგინოს ან წარმოადგინოს ნებისმიერი მის საკუთრებაში არსებული მოთხოვნილი დოკუმენტი კონტროლის განსახორციელებლად, რომელიც პირდაპირ კავშირშია დასმულ საკითხთან;

5.4. შემსყიდველი ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენის (მოხდენის) დღიდან არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში შეატყობინოს ამის შესახებ მიმწოდებელს;

5.5. შემსყიდველი ვალდებულია, ტრანზიტის პერიოდის განმავლობაში მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვას ტრანზიტის ქვეყანაში კონტრაქტით, კანონით, სასესხო ხელშეკრულებით, სასესხო ვალდებულებით, ფინანსური ხელშეკრულებით ან ნებისმიერი გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება;

6. რეგრესი

6.1. შემსყიდველის ან სხვა ნებისმიერი მესამე მხარის ბრალით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დროს, მიმწოდებელი უფლებამოსილია გამოიყენოს რეგრესის წესი და დაიბრუნოს საბაჟო სამსახურის სასარგებლოდ გადახდილი თანხა შემსყიდველისაგან ან სხვა ნებისმიერი მესამე მხარისაგან;

6.2. მესამე მხარის მიერ გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დროს შემსყიდველი ვალდებულია ქმედითი დახმარება გაუწიოს მიმწოდებელს რეგრესის უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და მისცეს დეტალური განმარტება სადაზღვევო შემთხვევის (ან ასეთად აღიარებულის) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

7. გამონაკლისები

აღნიშნული პირობებით არც ერთ შემთხვევაში არ იფარება ფინანსური რისკი, რომელიც წარმოიშვა:

7.1. საქონლის განადგურებით ან დაკარგვით ავარიისა თუ დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად; დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს.

7.2. დანაკლისით, რომელიც წარმოიქმნება ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით;

7.3. სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა არაკანონიერი ქმედებით და/ან მათზე დაკისრებული მოვალეობის დროულად არშესრულების ან მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდებით;

(მიმწოდებლის ხელმოწერა)

(შემსყიდველის ხელმოწერა)

7.4. გამოირიცხება ნებისმიერი ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ვალუტის კურსის ცვლილებით ან დევალვაციით;

7.5. ომით, შემოსევით, სამოქალაქო მღელვარებით, სამოქალაქო ომით, საომარი ოპერაციებით (მიუხედავად იმისა იყო თუ არა ომი გამოცხადებული), გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით, ამბოხებით, რევოლუციით, სამხედრო და დამპყრობელი ძალების მოქმედებით;

7.6. იონიზირებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავის ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული რადიაქტიური და სხვა სახის დაბინძურებით, რადიაქტიური ნივთიერებების შემცველი ნაერთით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ღირებულება

8.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **50 (ორმოცდაათი)** ლარს.

8.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 9. ანგარიშსწორების წესი

9.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და წინამდებარე ხელშეკრულების 10.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

9.3. გადახდის ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

მუხლი 10. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

10.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **2015 წლის 10 ივნისიდან 2015 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით.**

10.2. მომსახურების მოწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი).

10.3. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის, (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სასაქონლო ზედნადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენის შემდეგ.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 06 ოქტომბრის** ჩათვლით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

12.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

---------- (მიმწოდებლის ხელმოწერა)

---------- (შემსყიდველის ხელმოწერა)

13. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

14.1. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მოწესრიგდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2. მიმწოდებელი შეწყვეტს პოლისის მოქმედებას ვადაზე ადრე იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო პრემიას და/ან არ შეიტყობს შემსყიდველისგან იმ პირობების შესახებ, რომლებიც საგრძნობლად ზრდიან რისკის ფაქტორს; მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო პოლისის გაცემა მოხდება შემსყიდველის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე;

14.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მოხდება მხარეთა შორის წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ანიჭებს უპირობო უფლებას მიმწოდებელს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, შემსყიდველის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს შემსყიდველის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობას ამასთან ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

14.6. ამ ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების განმარტებისთვის / ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი: ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი	**მიმწოდებელი:** სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი"
ალექსი ახვლედიანი თავმჯდომარე	გიორგი ბარათაშვილი გენერალური დირექტორი
(მიმწოდებლის ხელმოწერა)	(შემსყიდველის ხელმოწერა)